



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. კონფერენციაში Dataharvest მონაწილეობის გრანტები
2. ვაცლავ ჰაველის სტიპენდია
3. ვებინარი Google-ის ინსტრუმენტების შესახებ ფრილანსერებისათვის
4. Thomson Foundation-ის კონკურსი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის
5. სტიპენდია TED-2020-ზე დასასწრებად
6. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი
7. დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი
8. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები
9. ალფრედ ფრენდლის სტიპენდია
10. სტიპენდიები საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონფერენციისთვის
11. ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა გთავაზობთ კულმანის ცენტრის სტიპენდიას
12. გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი პროექტების დაფინანსება
13. რეიგან-ფასელის სასტიპენდიო პროგრამა
14. სტიპენდია მედიაში დასაქმებული ქალებისთვის
15. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

1. კონფერენციაში Dataharvest მონაწილეობის გრანტები

გეოგრაფია - აღმოსავლეთ ევროპა

ნიდერლანდებში რეგისტრირებული არაკომერციული ფონდი ჟურნალისტებისათვის ARENA, ორგანიზებას უწევს საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონფერენციას Dataharvest, რომელიც შედგება ონლაინ, 2020 წლის სექტემბერ-ნოემბერში.

კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებისთვის ჩატარდება ტრენინგი. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე წლის ყველაზე ხმაურიანი ჟურნალისტური გამოძიებების შესახებ. ასევე, მიიღებენ ახალ ინფორმაციას საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფების შესაქმნელად.

გრანტს მთლიანობაში მიიღებს 200 ჟურნალისტი სამხრეთ-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან.

დანვრილებით: <https://bit.ly/39Yva4u>

ვადა: 10 აგვისტო, 2020 წ.

2. ვაცლავ გაველის სტიპენდია

გეოგრაფია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, უკრაინა, რუსეთი

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება (RFE/RL) იღებს განცხადებს 2020-2021 წლისათვის ვაცლავ გაველის სახელობის სტიპენდიის მისაღებად. პროექტის მიზანია - მხარი დაუჭიროს დამწყებ ჟურნალისტებს მედიის შეზღუდული თავისუფლების ქვეყნებიდან. პრემიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას. პროგრამა შედგება 2021 წლის 4 იანვრიდან 30 ივლისამდე პერიოდში. შერჩეული კანდიდატები გაივლიან ნთვთან სტაჟირებას პრაღაში, "რადიო თავისუფლების" სათავო ოფისში.

სტაჟირების პირველ ორ კვირას და ბოლო ერთ თვეს, ისინი გაივლიან პრაქტიკას "რადიო თავისუფლების" ადგილობრივ ბიუროში.

პროგრამა ასევე მოიცავს სემინარებს, დისკუსიებს პოლიტიკოსებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან, ანალიტიკოსებთან.

შერჩეული მონაწილეები მიიღებენ სტიპენდიას საცხოვრებელი ხარჯების, დაზღვევის, სატრანსპორტო ხარჯების დასაფარად.

დანვრილებით: <https://bit.ly/3f6yCMi>

ვადა: 11 აგვისტო 2020 წ

3. ვებინარი Google-ის ინსტრუმენტების შესახებ ფრილანსერებისათვის

გეოგრაფია- მსოფლიო

გრძელდება ფრილანსერების რეგისტრაცია ვებინარზე, რომელიც გუგლის ინსტრუმენტების გამოყენებას ეძღვნება. ვებინარი ორგანიზებულია პროფესიონალი ჟურნალისტების საზოგადოების მიერ ([Society of Professional Journalists](#))

ვებინარი შედგება **13 აგვისტოს** 15:00 საათზე, ნიუ-იორკის დროით

ვებინარის სპიკერები მონაწილეებს განუმარტავენ Google Scholar, Alerts, Trends, გაფართოებული ძიების და Google translate-ის გამოყენების ხერხებს.

ვებინარს უძღვება ჟურნალისტი ბენეტ უილსონი (Benét Wilson <https://twitter.com/benetwilson>).

დანვრილებით: <https://bit.ly/30v8G85>

4. Thomson Foundation-ის კონკურსი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - ქვეყნებში, რომლებშიც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 20 000 დოლარზე ნაკლებია

Thomson Foundation ლონდონის უცხოური პრესის ასოციაციასთან ერთად (EPA) ორგანიზებას უწევს კონკურსს- Young Journalist Award.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 30 წლამდე ჟურნალისტებს განვითარებადი ქვეყნებიდან.

განვლილ წლებში სამი ფინალისტი დაჯილდოების ცერემონიაზე ლონდონში ნოემბერში მიემგზავრებოდა, თუმცა თუკი ამ დროისთვის შეზღუდვები მოხსნილი არ იქნება, გამარჯვებულები სხვა ფორმით დაჯილდოვდებიან.

მონაწილეებმა უნდა წარადგინონ პორტფოლიო, რომელიც შეიცავს უკვე გამოქვეყნებულ სამ მასალას: ბეჭდური, აუდიო, ვიდეო კონტენტი, გამოქვეყნებული 2019 წლის 14 აგვისტოს შემდეგ.

მიიღება ნამუშევრები შესრულებული ნებისმიერ ენაზე, თუმცა არაინგლისურენოვან მასალას უნდა ახლდეს ინგლისური თარგმანი.

დანვრილებით: <https://bit.ly/2XqxBYj>

ვადა: 14 აგვისტო 2020 წ.

5. სტიპენდია TED-2020 -ზე დასასწრებად

გეოგრაფია- მსოფლიო

TED-ის სტიპენდიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ახალგაზრდა ინოვატორებს, სპეციალისტებს რომელთაც გააჩნიათ გარკვეული მიღწევები მედიის, ადამიანის უფლებების და ფოტოგრაფიის მიმართულებით.

მონაწილეები პროფესიული დონის ამაღლებას შეძლებენ სხვადასხვა ვორქშოპში, ვებინარსა და კონფერენციაში მონაწილეობით კანდიდატები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურს და ჰქონდეთ ისტორიები, რომელთა მოთხრობაც ღირს. შერჩეულ მონაწილეებს TED უფინანსებს ფრენის, სახმელეთო ტრანსპორტის, კვების და საცხოვრებელ ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2XqyPCT>

ვადა: 24 აგვისტო 11:59 pm UTC, 2020 წ.

6. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია - მსოფლიო

People in Need, ჩეხეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ყოველწლიურ ფესტივალში მონაწილეობის მიზნით, იწყებს განცხადების მიღებას. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი, დოკუმენტური ფილმების ფესტივალი 2021 წლის 4-13 მარტს პრაღაში გაიმართება.

პროგრამაში შედის სამი კონკურსი და მრავალი თემატური კატეგორია. ფილმების შერჩევას, კომიტეტი განიხილავს როგორც ადამიანის უფლებების კუთხით წარმოჩენილ თემას, ისე ნამუშევრის მხატვრულ ღირებულებებს. ნამუშევრები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

სრულმეტრაჟიანი ან მოკლემეტრაჟიანი (არანაკლებ 40 წუთისა),

მოკლე დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმები ბავშვებისათვის,

ინტერაქტიული ფილმები ვირტუალური რეალობისთვის,

ინგლისურენოვანი ან ინგლისური სუბ-ტიტრების მქონე ფილმები,

2019-2020 წლებში გადაღებული ფილმები

ფესტივალის ორგანიზატორებთან შეთანხმების საფუძველზე, დასაშვებია დაუსრულებელი ფილმების მიღებაც

დანვრილებით: <https://bit.ly/2PwgBeR>

ვადა: 1 სექტემბერი 2020 წ

7. დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

გეოგრაფია - მსოფლიო

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ავტორებს, რომლებიც ადამიანის უფლებების თემაზე მუშაობენ.

საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალი Docudays UA, რომელიც ორგანიზებულია ადამიანის უფლებების უკრაინა ჰელსინკის კავშირის მიერ, გაიმართება კიევში 2021 წლის 26 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით.

საკონკურსო პროგრამა მოიცავს ორ საერთაშორისო კატეგორიას:

DOCU/WORLD – 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის ფილმებისთვის

DOCU/SHORT – 30 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის ფილმებისთვის.

და ერთ ნაციონალურ კატეგორიას Docu/Украина.

აღნიშნულ კატეგორიებში გამარჯვებული ფილმების ავტორები მიიღებენ ფულად ჯილდოს 1 000 დოლარის ოდენობით.

ასევე, გაიცემა ჟიურის სპეციალური პრიზი, ანდრეი მატროსოვის სახელობის პრიზი და მაყურებლის არჩევანი. ჯილდოს ოდენობა - 1 000 დოლარი.

დანვრილებით: <https://bit.ly/3fw1ay6>

ადრეული დედლაინი – 2 სექტემბერი, სტანდარტული დედლაინი – 20 ნოემბერი, საფინანსო დედლაინი – 10 დეკემბერი.

8. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები

გეოგრაფია - მსოფლიო

აღნიშნული გრანტის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ საგამოძიებო ჟურნალისტებს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტების მიზანია, მხარი დაუჭიროს ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ კორუფციის და თანამდებობის ბოროტად გამოყენების თემებზე.

გრანტის მაქსიმალური ოდენობაა – 10 000 დოლარი. თანხის ნაწილი გაიცემა განაცხადის დამტკიცებისთანავე, მეორე ნაწილი ნამუშევრის დასრულებისთანავე.

განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს რომლებიც მუშაობენ ამერიკასთან კავშირში არსებულ თემებზე. მასალები უნდა იყოს გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/2BZYMBT>

ვადა: 14 სექტემბერი 2020 წ.

9. ალფრედ ფრენდლის სტიპენდია

გეოგრაფია: განვითარებადი ქვეყნები

ალფრედ ფრენდლის სტიპენდია ([Alfred Friendly Press Fellowships](#)) სთავაზობს ჟურნალისტებს შესაძლებლობას, იმუშაონ ამერიკულ გამოცემებში და გაეცნონ მათ გამოცდილებას. სამომავლოდ პროგრამის მონაწილეებმა მიღებული გამოცდილება საკუთარ რედაქციებს უნდა გაუზიარონ, რამაც თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ორი ქვეყნის რედაქციებს შორის თანამშრომლობას.

ამ ყველწლიურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენა შეუძლიათ 25-დან 35 წლამდე ჟურნალისტებს განვითარებადი ქვეყნებიდან.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ პროფესიული გამოცდილების მინიმუმ სამი წელი, იყვნენ სრულ განაკვეთზე დასაქმებულნი და სრულყოფილად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

პროგრამა შედგება 2021 წლის მარტის დასაწყისიდან სექტემბრამდე. პროგრამის პირველ ორი კვირა დაეთმობა საორიენტაციო სესიას მისურიში, შემდეგ ის გაგრძელდება კონკრეტულ რედაქციებში.

სტიპენდია ფარავს მგზავრობის, დაზღვევისა და სხვა საცხოვრებელ ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2VRhoe5>

ვადა: 16 სექტემბერი 2020 წ

10. სტიპენდიები საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონფერენციისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

Investigative Reporters and Editors (IRE) [კონფერენცია](#) გაიმართება 21-დან 25 სექტემბრამდე ონლაინ. ონლაინ კონფერენციაზე დასწრების შესაძლებლობა აქვთ მოქმედ ჟურნალისტებსა და სტუდენტებს. ღონისძიება თავს მოუყრის გამომძიებელ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან. ძირითადი მომხსენებელი იქნება ჟურნალისტი რონან ფაროუ

სტიპენდია მოიცავს IRE-ს უფასო წევრობას (სტანდარტული ფასი სტუდენტებისათვის 25 დოლარი, პროფესიონალებისთვის - 70 დოლარი) და კონფერენციაზე რეგისტრაციის საფასურს (50 დოლარი სტუდენტებისთვის, 175 – პროფესიონალებისთვის).

დანვრილებით: <https://bit.ly/2XvAo2x>

განაცხადების მიღება გრძელდება გამოყოფილი ბიუჯეტის ამონურვამდე.

11. ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა გთავაზობთ კულმანის ცენტრის სტიპენდიას

გეოგრაფია: მსოფლიო

ნიუ-იორკში სასტიპენდიო პროგრამაზე განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, მწერლებს და ყველას ვინც მუშაობს წიგნის შექმნასთან დაკავშირებულ პროექტებზე.

ნიუ-იორკის ცენტრის ბაზაზე არსებული კულმანის ცენტრი, 9 თვიან პროგრამაში მონაწილეობისათვის შეარჩევს 15 სტიპენდიანტს (2021 სექტემბრიდან 2022 წლის მაისამდე).

სტიპენდიანტები იმუშავენ საკუთარ პროექტებზე, ჩაერთვებიან ცენტრის მიერ ორგანიზებული იდეების გაცვლის ღონისძიებებსა და ფორუმებში.

ყოველი სტიპენდიანტი მიიღებს 75 000 დოლარამდე, საოფისე სივრცეს, კომპიუტერს და ბიბლიოთეკის რესურსებთან სრულ წვდომას.

დანვრილებით: <https://on.nypl.org/31NzuS3>

განაცხადების მიღების ვადა: 25 სექტემბერი 2020 წ

12. გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი პროექტების დაფინანსება

გეოგრაფია - მსოფლიო

Eric Hosking Trust სთავაზობს გრანტებს ავტორებს, რომლებიც ემნიან ტექსტურ, ფოტო კონტენტს ან ილუსტრაციებს. ნამუშევრები უნდა ეხებოდეს ორნითოლოგიურ კვლევებს. დაფინანსების მიღებაზე განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, მკვლევარებს და სხვა ავტორებს, რომლებიც მუშაობენ ჩიტების და გარემოს დაცვის თემებზე.

განაცხადით შესაძლებელია 750 ფუნტის მოთხოვნა. ეს თანხა უნდა წარმოადგენს პროექტის ბიუჯეტის მხოლოდ ნაწილს.

იმის გასაგებად, თუ რა ტიპის პროექტებმა მოიპოვა მხარდაჭერა გასულ წლებში ეწვიეთ ბმულს.

დანვრილებით: <https://erichoskingtrust.com/>

ვადა: 25 სექტემბერი 2020 წ.

13. რეიგან-ფასელის სასტიპენდიო პროგრამა

გეოგრაფია - მსოფლიო

NED-ის მიერ ორგანიზებული, რეიგან-ფასელის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა (Reagan-Fascell Democracy Fellows Program), მონაწილეებს საშუალებას აძლევს მეტი გაიგონ დემოკრატიის და მის გაძლიერებაში საკუთარი წვლილის შესახებ.

აღნიშნულ სასტიპენდიო პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ საკითხით დაინტერესებულ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან.

პროგრამის მონაწილეები დაესწრებიან დემოკრატიის განვითარების კვლევის ფორუმს ვაშინგტონში. პროგრამა შედგება 2021 წლის 1 მარტიდან 31 ივლისის ჩათვლით ან 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. მონაწილეებისთვის აუცილებელია ინგლისურის კარგად ფლობა.

სტუდენტები მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას, სამედიცინო დაზღვევას და ავიაბილეთების ხარჯის ანაზღაურებას.

დანვრილებით: <https://bit.ly/33rTKt7>

ვადა: 1 ოქტომბერი 2020 წ.

14. სტიპენდია მედიაში დასაქმებული ქალებისთვის

გეოგრაფია - მსოფლიო

მედიაში დასაქმებულ ქალთა საერთაშორისო ფონდი (IWMF), გთავაზობთ ბაფეტის სახელობის გრანტებს, რომელთა მიზანია ქალი ჟურნალისტების ამბიციური იდეების მხარდაჭერა. პანდემიის გამო ფონდი არ უჭერს მხარს პროექტებს, რომლებიც მგზავრობასთან არის დაკავშირებული.

მიიღება ამბიციური ჟურნალისტური პროექტები; თემები რომლებიც არ არის ფართე აუდიტორიისთვის ცნობილი, თუმცა მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოებისთვის; ერთობლივი პროექტების ორგანიზება; კარიერული ზრდა და პრაქტიკული უნარების განმტკიცება;

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტიკაში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

განაცხადები მიიღება ღია კარის პრინციპით

დანვრილებით: <https://bit.ly/33qWHds>

15. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - მსოფლიო

ორჰან ჯემალის სახელობის მედიაუსაფრთხოების აკადემიის ონლაინ კურსები შემუშავებულია პროფესიონალი და სამოქალაქო ჟურნალისტებისათვის, ფრილანსერებისათვის, ბლოგერებისა და ონლაინ აქტივისტებისათვის, რომლებიც იყენებენ რუსულს სამუშაო ენად. სწავლება უფასოა, საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია.

აკადემიის 14 ტრენერი 9 ქვეყნიდან უძღვებიან შემდეგ ვიდეო კურსებს:

რისკების ანალიზი და სტრუქტურირებული ანალიტიკური ინსტრუმენტები

ძირითადი ფიზიკური უსაფრთხოება რისკის ზონაში

საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოება

ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება, მუშაობა ტრავმით

იურიდიული დაცვა მედია რისკებისაგან

აკადემიის სტუდენტები, რომლებიც გაივლიან ყველა მოდულს და წარმატებით ჩააბარებენ ტესტს, მიიღებენ სერტიფიკატს ფონდისგან „სამართლიანობა ჟურნალისტებისათვის“

დანვრილებით: <https://jfi.academy/#about>

© Baltic Centre for Media Excellence, 2020

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლოვა, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

dataharvest.eu
pressroom.rferl.org
calendar.spjnetwork.org
thomsonfoundation.org
ted.com
my.oneworld.cz
docudays.ua
fij.org
presspartners.org
ire.org
on.nypl.org
erichoskingtrust.com
ned.org
iwmf.submittable.com
jfi.academy